

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური

2015 წლის განმავლობაში გამწვევ კომისიაზე გატარდა 650 წვევამდელი.

სამხედრო ვავლდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან გადავადება მიეცა 356 წვევამდელს.

სამხედრო სამედიცინო კომისიის მიერ სამხედრო სამსახურისათვის შეზღუდულად ვარგისად ცნობილი იქნა 102 წვევამდელი, ხოლო დროებით არავარგისად 21 წვევამდელი.

სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის მ-21:პ-3-ის საფუძველზე მეორე კატეგორიის რეზერვში გადარიცხულ იქნა 278 წვევამდელი (ზღვრული ასაკი).

საანგარიშო წლის განმავლობაში გაიცა 147 ცალი წვევამდელის სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა.

მომზადდა ანგარიში 2016 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროში წარსადგენად შესაბამისი ფორმების მიხედვით.

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში 27 წლამდე კონტიგენტთა რაოდენობა შეადგენდა 2753 წვევამდელს, აქედან გაწვევას ექვემდებარებოდა 1658 ხოლო გადავადებას 1095 .

გაწვევის სამსახურში წარმოებაში იყო მოქმედი და არქივით გათვალისწინებული 142 საქმე.

2015 წლის განმავლობაში კორესპოდენციით შემოსულია 567 დოკუმენტი და გაცემულია 473 დოკუმენტი.

სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან შემოსულია 27 წლამდე წვევამდელთა 55 და გადაგზავნილია 29 პირადი საქმე.

გარდა ამისა სისტემატიურად მიმდინარეობდა მუშაობა მოქალაქეთა მომსახურების მიზნით.

აღრიცხვაზე აყვანილი იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან დემობილიზებული პიროვნებები და მათზე გაიცა რეზერვიზტის შესაბამისი მოწმობა- 110 ცალი

შესაბამის ბრძანებათა გათვალისწინებით აღრიცხვაზე აყვანილი იქნა და შეიქმნა როგორც სამხედრო სააღრიცხვო ასევე ანბანური ბარათები 1988 წელს დაბადებულ ზღვრულ ასაკს მიღწეულ სამხედროვალდებულ პირებზე.

ასაკობრივი ზღვრებისა და კატეგორიების მიხედვით დამუშავდა სამხედრო სააღრიცხვო ბარათები, საჭიროების მიხედვით მათში შეტანილი იქნა სათანადო ცვლილებები .

მომიებული იქნა სათანადო მასალები, შეიქმნა და გაერთიანებულ შტაბ j-1-ში გადაიგზავნა სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში გაწვეულ პირთა პირადი საქმეები.

კანონმდებლობის შესაბამისად აღრიცხვიდან იქნა მოხსნილი ის რეზერვისტები რომელთაც შეუსრულდათ სათანადო ასაკობრივი ზღვარი.

ცვლილებათა გათვალისწინებით მოწესრიგდა სამობილიზაციო განყოფილების კარტოთეკა.

საჭირო საბუთების მოსაძიებლად მომსახურეობა გაეწია სამამულო ომის მონაწილეთა ოჯახის წევრებსა და საპენსიო ასაკს მიღწეულ პირებს.

მიმდინარეობდა საჭირო და დროული რაგირება განყოფილებაში შემოსულ კორესპოდენციებზე.

დადგინდა 1998 წელს დაბადებულ ჭაბუკთა სახელობითი სია და მათი პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა მიმდინარეობდა 2015 წლის 02 თებერვლიდან 2015 წლის 26 მარტამდე, გრაფიკით განსაზღვრული დროით. სიით წარმოდგენილ 386 ჭაბუკიდან აღრიცხვაზე აყვანილ 306 ჭაბუკი, შეიკერა 306 პირადი საქმე. შეიქმნა 1998 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ელექტრონული ბაზა, ყველა პირადი მონაცემებით.

2015 წელის განმავლობაში გასაწვევ წვევამდელთა რაოდენობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის განისაზღვრა 53 წვევამდელით და გაწვეული იქნა 71 წვევამდელი;

საგაზაფხულო გაწვევა მიმდინარეობდა 2015 წლის 2 თებერვლიდან 2015 წლის 30 ივნისამდე და გასაწვევე კონტიგენტთა რაოდენობა განისაზღვრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ ქვედანაყოფში 4 წვევამდელი

2. საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გარე დაცვის და ბადრაგირების მთავარი სამმართველოს გარე დაცვის სამსახურში 32 წვევამდელი.

საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში ქალაქ თბილისში გამწვევ-გამანაწილებელ პუნქტში გადაყვანილი იქნა 108 წვევამდელი. აქედან სამხედრო სავალდებულო სამსახურში ჩაერიცხა:

გეგმით: ჩაერიცხა;

შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარში- 4

შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარში-11

იუსტიციის ჯარში-32

იუსტიციის ჯარში-35

თავდაცვის ჯარში-2

თავდაცვის ჯარში-2

სულ: 36 წვევამდელი

ჩაერიცხა-46 წვევამდელი

ქალაქ თბილისის გამწვევ-გამანაწილებელ პუნქტში სამხედრო სამედიცინო კომისიაზე გასავლელად გადაყვანილი იქნა 118 წვევამდელი.

არაგეგმიური გაწვევა:

შ.ს.ს. ვადიან საკონტრაქტო სამსახურში ჩაერიცხა -16 წვევამდელი

სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში ჩაერიცხა-2 წვევამდელი

საშემოდგომო გაწვევა მიმდინარეობდა 2015 წლის პირველი აგვისტოდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე

საშემოდგომო გაწვევის პერიოდში გასაწვევ წვევამდელთა რაოდენობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის განისაზღვრა :

1. საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტში- 5 წვევამდელით

2. საქართველოს შინაგან საქმეთა გასამხედროებულ ქვედანაყოფში-10 წვევამდელით.

საშემოდგომო გაწვევის პერიოდში ქალაქ თბილისში გამწვევ-გამანაწილებელ პუნქტში ჩვენს მიერ გადაყვანილი იქნა 145 წვევამდელი. აქედან სამხედრო სავალდებულო სამსახურში ჩაერიცხა:

საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტში-

გეგმით- 5 წვევამდელი ჩაერიცხა-12 წვევამდელი

საქართველოს შინაგან საქმეთა გასამხედროებულ ქვედანაყოფში

გეგმით-10 წვევამდელი. ჩაერიცხა-11 წვევამდელი

საშემოდგომო გაწვევა გეგმით ითვალისწინებდა 15 წვევამდელს და ჩვენს მიერ ჩარიცხული იქნა 23 წვევამდელი, საშემოდგომო გეგმა შესრულდა 153 %-ით.

არაგეგმიური გაწვევა: შსს ვადიან საკონტრაქტო სამსახურში ჩაერიცხა- 9 წვევამდელი.

სახელმწიფო დაცვის სპეც. სამსახური- 1 წვევამდელი.